თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 10 ივნისის სხდომის ოქმი #9

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 20, სტუდენტები – 0, სულ –20 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის გასაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. 2016-2017 სასწავლო წელს დოქტორანტურაში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. მიმდინარე საკითხები

სხდომის თვმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 10 ივნისის #9 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: თსუ ყოფილი „კავკასიის ბიზნეს-ადმინისტრირების სკოლის“ ბაკალავრიატის 2004 და 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის შეცვლის თაობაზე განცხადებებით მომართეს ყოფილი „კავკასიის ბიზნეს-ადმინისტრირების სკოლის“ ფინანსების სპეციალობის 2004 წლის და 2006 კურსდამთავრებულებმა. კერძოდ:

1. ყოფილი „კავკასიის ბიზნეს-ადმინისტრირების სკოლის“ ფინანსების სპეციალობის 2004 წლის ზურაბ ქოქოსაძემ დიპლომის დაკარგვის გამო;
2. ყოფილი „კავკასიის ბიზნეს-ადმინისტრირების სკოლის“ ფინანსების სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ შოთა გვეტაძემ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზურაბ ქოქოსაძის და შოთა გვეტაძის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებებ ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის

გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი, ბატონ კახა შენგელია ქალბატონ რუსუდან სანადირაძისადმი მიწერილ წერილებში (№112-CU-02, 18.04.2016) აღნიშნავს, რომ **„კავკასიის ბიზნესის სკოლა დაფუძნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი კონსორციუმის მიერ. კონსორციუმში შემავალი სასწავლებლები კავკასიის ბიზნესის სკოლას განიხილავდნენ, როგორც ამ სასწავლებლის შემადგენელ ნაწილს და ყველა იურიდიულ აქტს, რომელიც უკავშირდებოდა სასწავლო პროცესს გამოსცემდნენ შემდეგი პრინციპების დაცვით: ფინანსებში, აღრიცხვასა და აუდიტში (საბუღალტრო აღრიცხვაში) და მარკეტინგში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად წამყვან უნივერსიტეტს წარმოადგენდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო მენეჯმენტში, ტურიზმსა და საერთშორისო ბიზნესში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებელ წამყვან უნივერსიტეტს წარმოადგენდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.**

მობილობა შემდეგი სპეციალობებიდან: „ფინანსები“, „აღრიცხვა და აუდიტი (საბუღალტრო აღრიცხვა)“, „მარკეტინგი“, „ჯანდაცვის ადმინისტრირება“ შემდეგ სპეცილობებზე: „მენეჯმენტი“, „ტურიზმი და საერთაშორისო ბიზნესი“, „ტურიზმის ადმინისტრირება“ განიხილებოდა არა როგორც ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში, არამედ, როგორც სპეციალობის ცვლილება (შიდა მობილობა).

კავკასიის ბიზნესის სკოლის ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამის (8 აკადემიური სემესტრი) ყველა სპეციალობაზე პირველი 5 სემესტრის განმავლობაში იკითხებოდა იდენტური საგნები და მხოლოდ V სემესტრის წარმატებით დასრულების შემდეგ, სტუდენტს შეეძლო გაეკეთებინა არჩევანი: დარჩენილიყო იმ სპეციალობაზე, რომელზედაც ჩააბარა, ან შეეცვალა სპეციალობა და გადასულიყო მისთვის სასურველ სპეციალობაზე.“

წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ შემდეგ ინფორმაციას:

1. **ზურაბ ქოქოსაძე** 2000 წლის მისაღები გამოცდების და საკონკურსო შერჩევის შედეგად ჩაირიცხა კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის, „მენეჯმენტის“ სპეციალობის I კურსზე (ბრძანება №1349/05, 19.10.2000).

   ზურაბ ქოქოსაძემ სპეციალობა შეიცვალა 2003 წლის გაზაფხულის სემესტრში და მენეჯმენტის სპეციალობიდან (სტუ) გადავიდა ფინანსების სპეციალობის (თსუ)

IV კურსზე (ბრძანება №4/1151, 30.09.2004). თუმცა, ტექნიკური ხარვეზის გამო სპეციალობის ცვლილების ბრძანება გაფორმდა გვიან - 2004 წლის 30 სექტემბერს.

2004 წელს ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულ ზურაბ მალხაზის ძე ქოქოსაძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი (ბრძანება №4/1336, 20.10.2004 - საფუძველი: საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება).

თსუ კავკასიის ბიზნეს სკოლის 2001-2007 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი CSB-B №000062 (რიგითი №61) რეგისტრირებულია ზურაბ მალხაზის ძე ქოქოსაძის სახელზე.

საქმისწარმოებისას გაირკვა, რომ კავკასიის ბიზნესის სკოლის 2004 წლის კურსდამთავრებულებს აკადემიური ხარისხი მიენიჭა სახელმწიფო საატესტაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით, რომელიც სამწუხაროდ არქივში არ იძებნება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2004 წლის 20 ოქტომბრის №4/1336 ბრძანების საფუძველზე „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ფინანსების სპეციალობის 16 კურსდამთავრებლს და მარკეტინგის სპეციალობის 6 კურსდამთავრებულს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. თსუ სასწავლო დეპარტამენტთან და იურიდიულ დეპარტამენტთან კონსულტაციებიდან გამომდინარე ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

2. **შოთა გელას ძე გვეტაძე** მოსამზადებელი განყოფილებიდან 2002-2003 სასწავლო წლის საფასურის გადახდის საფუძველზე ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კავკასიის ბიზნესის სკოლაში“, მენეჯმენტის სპეციალობაზე (ბრძანება №1777/05, 16.10.2002).

შოთა გვეტაძემ სპეციალობა შეიცვალა 2005 წლის გაზაფხულის სემესტრში და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეჯემენტის სპეციალობიდან გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების სპეციალობის III კურსზე (ბრძანება №4/446, 18.05.2005).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალობათა ფარგლებში კავკასიის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ

რექტორის ბრძანებით კავკასიის ბიზნესის სკოლის 2006 წლის ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულ შოთა გვეტაძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი (ბრძანება №01-04/1008, 26.10.2026 - საფუძველი: კავკასიის ბიზნესის სკოლის დირექტორის წარდგინება).

თსუ კავკასიის ბიზნესის სკოლის 2001-2010 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №000999 (სარეგისტრაციო №152) რეგისტრირებულია შოთა გვეტაძის სახელზე.

საქმისწარმოებისას გაირკვა, რომ კავკასიის ბიზნესის სკოლის 2006 წლის კვალიფიკაციის მინიჭების სხდომის ოქმების თსუ არქივში არ იძებნება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალობათა ფარგლებში კავკასიის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2006 წლის 26 ოქტომბრის №01-04/1008 ბრძანებით „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ ბაკალავრიატის 2006 წლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ფინანსების სპეციალობის 28 კურსდამთავრებულს და მარკეტინგის სპეციალობის 37 კურსდამთავრებულს. რაც შეეხება 2006 წლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ფინანსების სპეციალობის 4 კურსდამთავრებულს და მარკეტინგის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღდგენილად ჩაითვალოს კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ 2006 წელს **საბაკალავრო** პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. თსუ სასწავლო დეპარტამენტთან და იურიდიულ დეპარტამენტთან კონსულტაციებიდან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ყოფილი კავკასიის ბიზნეს-ადმინისტრირების სკოლის 2004 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია.
   - თსუ რექტორის 2004 წლის 20 ოქტომბრის №4/1336 ბრძანებით „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ზურაბ ქოქოსაძე) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს **2004 წლის 20 ოქტომბერი**, ხოლო ნომრად **№1336/ბ.**
   - ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თსუ ყოფილი კავკასიის ბიზნესის სკოლის მარკეტინგის და ფინანსების სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის №4/1336, 20.10.2004 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №4/1336, 20.10.2004)*.

2. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ყოფილი კავკასიის ბიზნეს-ადმინისტრირების სკოლის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია.
   - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალობათა ფარგლებში კავკასიის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულ-თათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2006 წლის 26 ოქტომბრის №01-04/1008 ბრძანებით „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ 2006 წლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს (მ.შ. შოთა გვეტაძე) ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს **2006 წლის 26 ოქტომბერი**, ხოლო ნომრად **№1008/ბ.**
   - ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თსუ ყოფილი კავკასიის ბიზნესის სკოლის 2006 წლის საბაკალავრო პროგრამის ფინანსების და მარკეტინგის სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის №01-04/1008, 26.10.2006 ბრძანებაში მითითებულ საბაკალავრო პროგრამის ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №01-04/1008, 26.10.2006)*.

მოისმინეს: 1983 წელს თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის, 1993 წელს თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის, 1999 და 2001 წელს თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის და 2003 წელს თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის შეცვლის თაობაზე განცხადებებით მომართეს ყოფილი სახალხო მეურნეების ფაკულტეტის 1983 წლის, საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1992 წლის, ეკონომიკის ფაკულტეტის 1999 და 2001 წლის და კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2003 წლის კურსდამთავრებულებმა. კერძოდ:

1. ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის 1983 წლის კურსდამთავრებულ **ელისო აღაზადემ** გაურკვეველ ვითარებაში დიპლომის დაკარგვის გამო;
2. ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის 1992 წლის კურსდამთავრებულ **მიხეილ ელიზბარაშვილმა** დიპლომის დაკარგვის გამო;
3. ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში სპეციალობის 1999 წლის კურსდამთავრებულ **ანა მისირიანმა** სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის გამო;
4. ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2001 წლის მაკროეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ **ქეთევან ლაშხმა** ბაკალავრის დიპლომისა და დიპლომის დანართის მომზადების გამო;
5. ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში სამრეწვლო წარმოების და საქონლის მარკეტინგის სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრებულ **მარინა ლეჟავამ** სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ელისო აღაზადეს, მიხეილ ელიზბარაშვილის, ანა მისირიანის, ქეთევან ლაშხის და მარინა ლეჟავას სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებენ ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების

გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას:

1. **ელისო რევაზის ასული აღაზადე** 1978 წელს მისაღების გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმის ფაკულტეტის დღის სწავლების სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/462, 25.08.1978).

   სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1983 წლის 27 ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1983 წლის 1 აგვისტოს №4/579 ბრძანებით სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ელისო აღაზადეს სადიპლომო ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალიზაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

   1983-1984 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი №252154 (სარეგისტრაციო №202) რეგისტრირებულია ელისო რევაზის ასულ აღაზადეს სახელზე.

   საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1983 წელს სახალხო მეურნეობის დაგეგმის ფაკულტეტზე მოქმედებდა სამი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო

საგამოცდო კომისიის სხდომის 10 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი.

პირველი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. ა. ჯიბუტი; წევრები: პროფ. ა. ბაჯელიძე, დოც. დ. ჯაბიძე, დოც. ვ. ბადრიძე)* მიერ 1983 წლის 27 ივნისს წარმოებულია სავარაუდოდ 3 ოქმი. მათგან, ერთ-ერთ ოქმზე გარკვევით არ ჩანს კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი, კერძოდ, კი რიცხვი. არც ერთი ოქმი არ არის დანომრილი.

მეორე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. გ. ყუფუნია; წევრები: დოც. ი. ბაქრაძე, დოც. თ. დემეტრაშვილი, დოც. ი. ქადარია, დოც. ვ. ქარჩავა)* მიერ 1983 წლის 27 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი და არცეთ ოქმს არ აქვს ნომერი მინიჭებული.

მესამე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ვ. ბურკაძე; წევრები: პროფ. ო. საღარეიშვილი, პროფ. ვ. დათუკიშვილი, დოც. ნ. მესხი, დოც. მ. ნარგიზაშვილი, დოც. ვ. ფრანგიშვილი, დოც. ვ. გურგენიძე)* მიერ 1983 წლის 27 ივნისს წარმოებულია 4 ოქმი. წარმოდგენილი ოქმები არ არის დანომრილი.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამასთან, მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით და თუ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ ერთი და იმავე თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში სხვა მონაცემებიცაა მისაღები.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედმა კომისიამ იმსჯელა და განახორციელდა უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

2. **მიხეილ ელგუჯას ძე ელიზბარაშვილი** 1985 წელს მისაღებ გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძანება №4/628, 25.08.1985).

1986 წლის სექტემბრიდან თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობის დღის სწავლების II კურსის სტუდენტს მიხეილ ელიზბარაშვილს მიეცა აკადემიური შვებულება საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გამო (ბრძანება №4/736, §4, 13.09.1986), 1988 წელს ჩაითვალა აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებულად საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობის დღის სწავლების II კურსზე (ბრძანება №4/658, §2, 11.07.1988).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1993 წლის 25 ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/721, 07.09.1993) ამავე ფაკულტეტის დღის „ა“ ჯგ. განყოფილების ძველი წლის კურსდამთავრებულ მიხეილ ელიზბარაშვილს სადიპლომო ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1993 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი ШВ №707837 (სარეგისტრაციო №01/167) რეგისტრირებულია მიხეილ ელგუჯას ძე ელიზბარაშვილის სახელზე.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1993 წელს საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე მოქმედებდა ხუთი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 17 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მ.შ. დანომრილია მხოლოდ სამი ოქმი. 14 ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

პირველი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა ალექსანდრეს ასული ტუღუში; წევრები: დოც. თ. ს. ბარამიძე, დოც. მ. ვ. მაღრაძე, დოც. გ. ლ. პარკაძე, დოც. ვ. ა. გოგიჩაიშვილი, უ/მ. მ. მ. კონიაშვილი, უ/მ. გ. გ. მეტეხელი; მდივანი: უ/ლ. ჯ. ი. ბოლაშვილი)* მიერ 1993 წლის 16 ივნისს წარმოებულია ორი ოქმი და არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

მეორე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ი. პ. ზაუტაშვილი; წევრები: ნ. ბიჭიაშვილი; ა. ზ. ტატიშვილი, ზ. თ. ღუდუშაური, ლ. კ. დუნდუა, მ. მ. კიკნაძე, ბ. ბ. ლაგვილავა, ნ. ო. ბაკაშვილი)* მიერ 1993 წლის 25 ივნისს წარმოებულია 6 ოქმი. აქედან მხოლოდ ერთ ოქმს აქვს მინიჭებული ნომერი (№1), ხოლო ხუთი ოქმი არ არის დანომრილი.

მესამე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: მირონ კარლოს ძე ტუღუში; წევრები: ომარ მიხეილის ძე გიგიაშვილი, ლალი ნევრონის ასული ფირცხალაიშვილი, ლია ანდროს ასული კაპანაძე, ნოდარ აკაკის ძე გორდეზიანი, ლალი პავლეს ასული ჩაგელიშვილი, როლანდი მურცხვალაძე)* მიერ სულ წარმოებულია 4 ოქმი. აქედან ორი ოქმი წარმოებულია 1993 წლის 15 ივნისს, ხოლო 1993 წლის 24 და 25 ივნისს თითო ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

მეოთხე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: გივი ვალერიანის ძე მინდელი; წევრები: დ. ძნელაძე, ნ. პაიჭაძე, პ. ჩაგელიშვილი, ს. ჩოჩოშვილი, გ. ჩანადირი, თ. ხომერიკი, ბ. შელია, ე.*

კუსრაშვილი, თ. ლუტიძე - ელექტროაპარატის დირექტორის მოადგილე) მიერ წარმოებულია ოთხი ოქმი. 1993 წლის 21, 25, 29 ივნისს და 1 ივლისს წარმოებულია თითო ოქმი. აღნიშნული ოქმებიდან ნომერი მინიჭებული აქვს მხოლოდ 1993 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმს (№1). სხვა ოქმებს არ აქვთ მინიჭებული ნომერი.

მეხუთე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.კ. შალვა მიხეილის ძე გოგიაშვილი; წევრები: დოც. კლიმენტი ვასილის ძე აჩელაშვილი, დოც. იური შალვას ძე ანანიაშვილი, დოც. ანზორ ალექსანდრეს ძე დავითაია, ე.მ.დ. ვლადიმერ გიორგის ძე პაპავა, ე.მ.დ. გიორგი შაქროს ძე წერეთელი, დოც, ვაჟა გიორგი ძე მათურელი; მდივანი: დალი გრიგოლის ასული კონიაშვილი)* მიერ წარმოებულია ერთი ოქმი - 1993 წლის 25 ივნისს და მისი ნომერია №1.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედ კომისიის მიერ განხორციელდა უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

3. **ანა რაფაელის ასული მისირიანი** 1994 წელს მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით სხვა სპეციალობიდან გადმოყვანით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ფასიან განყოფილების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/489, 07.09.1994).

   წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების 1998 წლის კურსდამთავრებულ ანა მისირიანს ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 28 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1999 წლის 13 ივლისის №4/607 ბრძანებით მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

   1999 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №02754 (სარეგისტრაციო №01/284) რეგისტრირებულია ანა მისირიანის სახელზე.

   წარმოდგენილი საარქივო მასალიდან ჩანს, რომ 1999 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედებდა სამი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ

წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის და ერთსაფეხურიანი საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების, დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 35 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ ნომერი მინიჭებული აქვს მხოლოდ 25 ოქმს.

პირველი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: მიხეილ ჯიბუტი; წევრები: ელგუჯა მექვაბიშვილი, გრიგოლ თოდუა, ბიკენტი გაბიძაშვილი, როინ ქუტიძე, ომარ ჩადუნელი, რევაზ გოგოხია, ლარისა ყორღანაშვილი, მურმან ტურავა, ირინე გოგორიშვილი, ფრიდონ ბურდული)* მიერ 1999 წლის 24 ივნისს წარმოებულია 24 ოქმი. ყველა ოქმს მინიჭებული აქვს თარიღი და ნომერი (№8).

მეორე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დავით ონოფრიშვილი; წევრები: გივი გამსახურდია, ცისანა სეხნიაშვილი, ივანე გოგიშვილი, შოთა ქისტაური, პარმენ ლემონჯავა, რაინდი თოდუა, თამარ ციგროშვილი, თამარ გამსახურდია, ლეილა ღუდუშაური, ნოდარ ბერძენაძე)* მიერ 1999 წლის 15 ივნისს წარმოებულია ორი ოქმი (№1 და №2); 16-17 ივნისს - ერთი ოქმი (№3); 18 ივნისს - ორი ოქმი, რომელთაგან ერთს მინიჭებული აქვს №4, ხოლო ერთი ოქმი უნომროა; 19 ივნისს - ერთი ოქმი (№5); 21 ივნისს - ორი ოქმი (№6 და №7); 22 ივნისს - ორი ოქმი (№8 და №9); 23 ივნისს - სამი ოქმი (№10, №11 და №12).

მესამე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.დ. პროფ. ოთარ საღარეიშვილი; წევრები: პროფ. რეზო გველესიანი, პროფ. მირიან ტუხაშვილი, პროფ. თენგიზ ჭიაბრიშვილი, დოც. დავით ჯაბიძე, დოც. ნოდარ ბადრიძე, დოც. იური ხუხუა, უ/მასწ. ჰენრი ყარაშვილი)* მიერ 1999 წლის 28 ივნისს წარმოებულია 13 ოქმი. წარმოდგენილი ოქმებიდან მხოლოდ ორ ოქმს აქვს მინიჭებული ნომერი (№1 და №8), ხოლო მესამე ოქმზე დაფიქსირებული ნომერი გაურკვეველია.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეორე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებულ ერთ ოქმზე დაფიქსირებულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ჩატარების ორი თარიღი. კერძოდ, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №3 დათარიღებულია 1999 წლის 16-17 ივნისით. ე.ი. სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ იმუშავა ორი დღის განმავლობაში - 16 და 17 ივნისს, რაც შესაბამისად აისახა ოქმშიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ეკონომიკის ფაკულტეტის

ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის (№3) თარიღად განისაზღვროს 1999 წლის 17 ივნისი.

ამჟამად, დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისიამ მოახდინა მეორე და მესამე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

4. **ქეთევან დავითის ასული ლაშხი** 1996 წელს მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მაკროეკონომიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/615, 06.08.1996).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 1996-2000 წლებში წარმოებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალები, საიდანაც ჩანს, რომ ქეთევან ლაშხი 1999-2000 სასწავლო წელს ირიცხებოდა მაკროეკონომიკის სპეციალობის IV კურსზე. თეორიული კურსის ამოწურვის შემდეგ დაენიშნა სახელმწიფო გამოცდები უცხო ენაში (ინგლისური) და სპეციალობაში (მაკროეკონომიკური დაგეგმვა). როგორც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმიდან, ისე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალებიდან ირკვევა, რომ ქეთევან ლაშხმა სახელმწიფო გამოცდა სპეციალობაში (მაკროეკონომიკური დაგეგმვა) ჩააბარა 2000 წლის 23 ივნისს და დაიმსახურა შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ *(იხ. თსუ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №5-23, 23.06.2000)*. რაც შეეხება უცხო ენას, მან 2000 წელს ვერ ჩააბარა გამოცდა. იმ პერიოდის რეგულაციებით აღნიშნულ საგანში მან გამოცდა ჩააბარა 2001 წლის 15 ივნისს და დაიმსახურა შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ *(იხ. უცხო ენაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №8, 15.06.2001)*.

თსუ რექტორის 2008 წლის 7 ოქტომბრის №1456/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება (№1848702, 24.09.2008) და განცხადება (№11118/02, 14.07.2008), რომლის ელექტრონული ვერისიაც ინახება ფაკულტეტზე. წარდგინებიდან ირკვევა, რომ ქეთევან დავითის ასულმა ლაშხმა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობა დაამთავრა 2001 წელს - თეორიული კურსი დახურა 2000 წელს და იმავე წელს ჩააბარა სახელმწიფო გამოცდა სპეციალობაში, ხოლო უცხო ენაში - 2001 წელს. ეკონომიკის ფაკულტეტის თანამშრომლების დაუდევრობის გამო არ მოხდა მისი დიპლომის მომზადება და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატის გადაწყვეტილებით ქეთევან ლაშხს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით.

თსუ რექტორის 2008 წლის 7 ოქტომბრის №1456/01-04 ბრძანებით ქ. ლაშხისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია (ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი) არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განახორციელებს ქ. ლაშხისთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირებას.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან არ იძებნება 2001 წლის კურსდამთავრებულ ქეთევან ლაშხისთვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზირები, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე 2008 წელს მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. კურსდამთავრებულის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისთვის კი განისაზღვროს (ან აღდგეს) დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები.

თსუ სასწავლო დეპარტამენტთან და იურიდიულ დეპარტამენთან კონსულტაციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილებათა თარიღად განისაზღვროს რექტორის მიერ გამმოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

5. **მარინა ანზორის ასული კელიხაშვილი (შემდგომში ლეჟავა)** 2001 წელს რეიტინგის მონაცემების მიხედვით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბიუჯეტო სექტორის სამრეწველო წარმოებისა და სასაქონლო მარკეტინგის სპეციალობის მაგისტრატურის I კურსზე (ბრძანება №4/703, 25.07.2001).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სამრეწველო წარმოებისა და საქონლის მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2003 წლის 17 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომრია) და ხარისხის მინჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 30 დეკემბრის №4/813 ბრძანებით კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სამრეწველო წარმოებისა და საქონლის მარკეტინგის სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრებულ მარინა ანზორის ასულ კელიხაშვილს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ მიენიჭა ***ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი*** და მიეცა შესაბამისი დიპლომი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 17 მაისის №539/01-04 ბრძანებით მარინა კელიხაშვილის მიმართ უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (შექმნილი) ყველა არსებული

ოფოციალური დოკუმენტი მარინა კელიხაშვილის ნაცვლად გამოცემულად ჩაითვალა მარინა ლეჟავას სახელზე (მიზეზი: ქორწინების მოწმობის საფუძველზე გვარის შეცვლა). შესაბამისად, გაუქმებულად გამოცხადდა თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2001 წლის და მაგისტრატურის 2003 წლის კურსდამთავრებულ მარინა კელიხაშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომი წარჩინების (BH №01768, სარეგისტრაციო №01/64) და მაგისტრის დიპლომი (M №02638, სარეგისტრაციო №01/190) დიპლომები.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი თსუ საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2003 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მოქმედებდა სამი სახელმწიფო საატესტაციო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია მაგისტრატურის სხვადასხვა სპეციალობის 12 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი, ხოლო ნომერი მინიჭებული აქვს მხოლოდ 6 ოქმს.

პირველი სახელმწიფო საატესტაციო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.დ. პროფ. გ. ჯულაყიძე; წევრები: ე.მ.დ. პროფ. ე. ბოლოკაძე, ე.მ.დ. პროფ. მ. ღაღანიძე, ე.მ.დ. პროფ. ა. გაგნიძე, ე.მ.კ. დოც. ნ. ხმალაძე, ე.მ.კ. დოც. ვ. სვანაძე)* მიერ 2003 წლის 16 ივნისს წარმოებულია 4 ოქმი. ყველა ოქმს მინჭებული აქვს თარიღი და ნომერი (№1, 16.06.2003; №2, 16.06.2003; №3, 16.06.2003 და №4, 16.06.2003).

მეორე სახელმწიფო საატესტაციო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ტ.მ.კ. დოც. თემურ კოპალეიშვილი; წევრები: ე.მ.დ. პროფ. გ. ნადირაშვილი, ე.მ.დ. პროფ. ნ. თოდუა, ტ.მ.კ. დოც. ი. ადეიშვილი, ტ.მ.კ. დოც. ა. ლაშხია, ტ.მ.კ. დოც. თ. ჯაში, ტ.მ.კ. დოც. ც. უროტაძე, ტ.მ.კ. დოც. ნ. ბენდუქიძე, მდივანი: ტ.მ.კ. დოც. თ. ბუკუა)* მიერ 2003 წლის 17 ივნისს წარმოებულია 6 ოქმი, რომლებზეც დაფიქსირებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი.

მესამე სახელმწიფო საატესტაციო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ტ.მ.კ. დოც. სერგო მელაძე; წევრები: ტ.მ.დ. პროფ. გივი მიქელაძე, ტ.მ.კ. დოც. დემურ ბახტაძე, ტ.მ.კ. დოც. ნოდარ ბაკურაძე, ტ.მ.კ. დოც. ელენე ტოფაძე, ტ.მ.კ. დოც. მზია წულუკიძე; მდივანი: ტ.მ.კ. დოც. დალი წულაია)* მიერ 2003 წლის 21 ივნისს წარმოებულია ორი ოქმი და ორივე ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და ნომერი (№1, 21.06.2003 და №2, 21.06.2003).

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც. ამჟამად, დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების

დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედ კომისიის მიერ უნდა მოხდეს მეორე სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

I. აღდგენილად ჩაითვალოს 1983 წელს თსუ ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია.

1. თსუ ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1983 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1983 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1983 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№1/პ***;
   - ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1983 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1983 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№2/პ***;
   - ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1983 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1983 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№3/პ***.

2. თსუ ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1983 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1983 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1983 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№4/ბ***;
   - ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1983 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1983 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№5/ბ***;
   - ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1983 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1983 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№6/ბ***;

3. თსუ ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1983 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ელისო აღაზადე) ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1983 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1983 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№7/ბ***;
   - ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1983 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1983 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№8/ბ***;
   - ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების შრომის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის

კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1983 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1983 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№9/ბ***;

- ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების შრომის დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტი-ლების 1983 წლის 27 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1983 წლის 27 ივნისი*** და ნომრად ***№10/ბ***;

4. ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს ყოფილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის მიერ 1983 წლის 27 ივნისს წარმოებულ №1, №2 და №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1983 წლის 27 ივნისის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის №1, №2 და №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

II. აღდგენილად ჩაითვალოს 1993 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია.

1. თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1993 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემების სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 16 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 16 ივნისი*** და ნომრად ***№1/ბ***;
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემების სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 16 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 16 ივნისი*** და ნომრად ***№2/ბ.***

2. თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1993 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების

თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 25.06.1993;***
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№2/ჰ***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის („ა“ ჯგ.) განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს **(მ.შ. მიხეილ ელიზბარაშვილი)** ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№3/ჰ***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის („ბ“ ჯგ.) განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№4/ჰ***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის („გ“ ჯგ.) განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№5/ჰ***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის („დ“ ჯგ.) განყოფილების ეკონომიკა და მართვა საშენ მასალათა მრეწველობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№6/ჰ***.

3. თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1993 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამო განყოფილების კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავ-რებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 15 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 15 ივნისი*** და ნომრად ***№1/ჰ***;
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 15 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 15 ივნისი*** და ნომრად ***№2/ჰ***;
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალური მომსახურების, საქალაქო მეურნეობის ეკონომიკის და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№3/ჰ***;
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალური მომსახურების, საქალაქო მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№4/ჰ***.

4. თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1993 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრე-ბულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის

სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 21 .06.1993;***

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 25 ივნისი*** და ნომრად ***№2/ბ***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 29 ივნისი*** და ნომრად ***№3/ბ***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამო განყოფილების შრომის ორგანიზაცია და ნორმირება სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 1 ივლისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 1 ივლისი*** და ნომრად ***№4/ბ***.

5. თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №5 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1993 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 25.06.1993.***

